ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1929 წლის მაისის 3.	№ 8 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 70. დებულება ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს შესახებ.

„ 71. უწყლო რაიონებში მდებარე რკინის გზის სადგურებისა და წყაროს (თვითმდინარი) წყლით მომარაგებული სადგურების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას წყალი უფასოდ უნდა მიეცეს.

„ 72. „ა/კსფსრ-ში მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აპრილის 5-ს დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 73. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილების გაუქმების შესახებ, რომლითაც განსაზღვრულია წესი შრომის ინსპექტორების მიერ დამქირავებელთა პასუხისგებაში მიცემისა — სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოთა და მეურნეობათა მუშა-მოსამსახურეების შრომის დაცვის მიზნით გამოცემული დადგენილებების აღსრულებლობისათვის.

„ 74. ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის მოსაწესრიგებლად საჭირო საძიებლო, საკვლეო და საპროექტო მასალების ინვენტარიზაციის წარმოების შესახებ.

„ 75. საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეებზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 14-ს თარიღისა და 53 №-ის დადგენილების გავრცელების შესახებ, რა დადგენილებითაც განსაზღრულია სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა, დაწესებულებათა და საწყობთა სავაჭრო დარგის იმ მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობა, რომელთაც მინდობილი აქვთ ქონებრივი ფასეულობა.

„ 76. სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის შესახებ.

„ 77. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის დებულებისათვის მე-4-ა მუხლის დამატების შესახებ.

„ 78. საგლეხო მეურნეობაში საქირავნო შრომის კანონების შეფარდებისათვის ზედამხედველობის გაძლიერების მესახებ.

მუხ. 79. დებულება სსრკ-ის მთავრობასთან მყოფი ა/კსფსრ მუდმივი წარმომადგენლობის შესახებ.
„ 80. ა/კსფსრ 1929-30 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა, განხილვისა და მსვლელობის წესის შესახებ.
„ 81. სოფლის მოსახლეობის შრომის საგზაო ბეგარის დებულების მოქმედების ქალქებზე და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებზე გავრცელების შესახებ.
„ 82. 1929-30 წლის საკონტროლო ციფრებისათვის საჭირო მუშაობის წესის შესახებ.

დადგენილება № 123 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

70. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს შესახებ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს შესახებ.

1. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო ანხორციელებს ა/კსფსრ ტერიტორიაზე გზატკეცილებისა და ყამირგზების მშენებლობისა, შენახვისა და რემონტის ხელმძღვანელობას და აგრეთვე საავტომობილო საქმის მოწესრიგებას და ზედამხედველობას.

2. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო ემორჩილება უშუალოდ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატის მიმართ იმყოფება თანამოსახლე სახალხო კომისარიატის მდგომარეობაში და თავის მოქმედებაში ანხორციელებს როგორც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ისე სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატის დირექტივებსა და დავალებებს.

უკეთუ სსრკ-ის სახალხო კომისარიატის დირექტივი და დავალება არ შეესაბამება სსრკ-ის კანონმდებლობას ან ა/კსფსრ კანონმდებლობას, ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამართველო განაპროტესტებს ამ განკარგულებას ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისათვის დადგენილი წესით.

3. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსათვის დაკისრებული მიზნების გასახორციელებლად იგი გამოსცემს, თავისი გამგებლობის ფარგლებში, დადგენილებებსა, განკარგულებებსა, ბრძანებებსა, ცირკულიარებსა, დაბულებებსა, ინსტრუქციებსა და სხვ. და დასდებს ხელშეკრულებებსა და გარიგებებს.

ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს დადგენილება და განკარგურება შეიძლება იქნეს შეჩერებული, შეცვლილი და გაუქმებული თანამოსახელე სახალხო კომისარიატებისათვის კანონით დადგენილი წესისამებრ.

შენიშვნა 1. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს იმ დადგენილებისა და განკარგულების ასლი, რაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზების დაგეგმვისა და ხარჯთაღრიცხვის საკითხებს შეეხება, ეგზავნება სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, რომელიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება.

შენიშვნა 2. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზაბისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს იმ დადგენილებისა და განკარგულების შეჩერების უფლება, რაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზების საკითხებს შეეხება, ეკუთვნის აგრეთვე სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, რომელიც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან იმყოფება, და რომელიც ყოველ შემთხვევას ასეთი შეჩერებისა და მის გამომწვევ მოტივს დაუყოვნებლად მოახსენებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატს.

4. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს ქვემდებარე ორგანოები არიან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების (საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის) გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოები, მათი ქვემდებარე ადგილობრივი ორგანოებით.

აღნიშნული რესპუბლიკანური გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოები ემორჩილებიან უშუალოდ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ხოლო მთავარ სამმართველოს მიმართ იმყოფებიან თანამოსახელე სახალხო კომისარიატების მდგომარეობაში და თავიანთ მოქმედებაში ანხორციელებენ როგორც აღნიშნული რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა, ისე ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს დირექტივებსა და დავალებებს.

დასახელებული ორგანოების დებულებები შემუშავებულ იქნება ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს მიერ და დამტკიცდება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესისამებრ.

5. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაუწიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების მუშაობასა და მოქმედებას.

შენიშვნა. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილების თანახმად მთავარ სამმართველოს შეიძლება დაეკისროს საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზებისა ან ამ გზებზე ამა თუ იმ ნაგებობის შენახვა და აშენება.

ბ) შეიმუშაოს საკითხები ა/კსფსრ საგზაო და საავტომობილო მეურნეობის განვითარების შესახებ;

გ) შეადგინოს, განიხილოს და წარმართოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დასადასტურებლად ან დასამტკიცებლად საერთო-საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სია, გზათა მშენებლობის საპერსპექტივო და საწარმოო გეგმები, გაუწიოს ინსტრუქტირობა აღნიშნული საკითხების გამო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საგზაო ორგანოებს, შეიმუშაოს გზათა მშენებლობის საკონტროლო ციფრები და თვალყური ადევნოს საგზაო ორგანოების მიერ გზათა მშენებლობის გეგმების შესრულებას;

დ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ტეხნიკურ ძიებლობასა და ეკონომიურ კვლევას საგზაო და საავტომობილო მეურნეობის სფეროში, აგრეთვე დაანაწილოს გზები კატეგორიებად, წარმართოს საგზაო მეურნეობის ინვენტარიზაციისათვის წარმოებული მუშაობა, შეადგინოს ყველა კატეგორიის გზების საერთო რუქები და ეკონომიური რუქები;

ე) გაუწიოს საერთო ტეხნიკური ზედამხედველობა ა/კსფსრ ტერიტორიაზე გზათა მშენებლობას, რასაც რესპუბლიკანური საგზაო ორგანოები განახორციელებენ, გაუწიოს ინსპექტირობა ამ ორგანოებს და ხელი შეუწყოს მათ გზების გაუმჯობესებისა და განვითარების ღონისძიებათა განხორციელებაში, კერძოდ საგზაო სამუშაოების ჩატარებაში მოსახლეობის შრომის მონაწილეობით და გზათა მშენებლობაში ადგილების მიერ შეძენილი გამოცდილების გაერთიანების საქმეში;

ვ) მოაწყოს ა/კსფსრ მომარაგება ავტოტრანსპორტით, შეარჩიოს ავტომანქანების ტიპები, განახორციელოს საგზაო სამუშაოთა მექანიზაციისათვის საჭირო ღონისძიებანი;

ზ) შეიმუშაოს კანონპროექტები, რაც ა/კსფსრ ფარგლებში მოაწესრიგებს საგზაო მეურნეობასა და საავტომობილო საქმეს, და წარუდგინოს ეს კანონპროექტები ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ან დასადასტურებლად; მეთვალყურეობა გაუწიოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ-ისა და ა/კსფსრ იმ კანონმდებლობისა და აგრეთვე სსრკ. გზათა სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტენანსპორტის მთავარ სამმართველოს იმ განკარგულებათა შესრულებას, რაც მოაწესრიგებს საგზაო მეურნეობასა და საავტომობილო საქმეს;

თ) შეადგინოს პროექტები საზოგადოებრივი მნიშვნელობის გზებისათვის საერთო-საკავშირო ბიუჯეტით ასიგნებული სახსარის რესპუბლიკანურ საგზაო

ორგანოებს შორის განაწილებისა; შეადგინოს პროექტი რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზათა მშენებლობისათვის ა/კსფსრ-ის ბიუჯეტით ან სსსრკ-ის ბიუჯეტით ასიგნებული სახსარის განაწილებისა და წარუდგინოს ეს პროექტები ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასადასტურებლად ან დასამტკიცებლად, აგრეთვე იქონიოს ზედამხედველობა ამ სახსართა ხარჯვისათვის და ამ ხარჯვის ანგარიშგებისათვის;

ი) შეიმუშაოს, განიხილოს და, სათანადო შემთხვევაში, დაამტკიცოს საგზაო ნაგებობათა პროექტების ტიპები და ტეხნიკური ნორმები, უაღრესი მნიშვნელობის მქონე და ტეხნიკურად რთულ საგზაო ნაგებობათა პროექტები—თანახმად სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის მიერ მოცემული ტეხნიკური წესებისა და პირობებისა;

კ) აწარმოოს სამეცნიერო საკვლეო მუშაობა და ხელი შეუწყოს რესპუბლიკანურ საგზაო-საავტომობილო ორგანოებს ასეთ მუშაობაში, რასაც ისინი აწარმოებენ სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი სამეცნიერო კვლევათა საერთო გეგმისა და მისივე დირექტივების თანახმად;

ლ) გამოარკვიოს მოთხოვნილება ტეხნიკური ძალებისადმი და, სათანადო უწყებებთან შეთანხმებით, შეიმუშაოს საერთო ღონისძიებანი საგზაო და საავტომობილო საქმისათვის საჭირო მომუშავეთა ტეხნიკური კადრების მოსამზადებლად;

მ) შეჰკრიფოს საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო საქმისათვის საჭირო სააღნუსხვო ცნობები;

ნ) შეიმუშაოს ა/კსფსრ ავტო-მოტო-მანქანების აღნუსხვის ცნობები;

ო) შეადგინოს ა/კსფსრ ავტო-ტრანსპორტით მომარაგების საპერსპექტივო და წლიური გეგმები;

პ) შეიმუშაოს, მრეწველობის ორგანოებთან ერთად, ავტომშენებლობის საკითხები;

ჟ) მიიღოს მონაწილეობა ა/კსფსრ-ში შემოზიდული ავტო-მოტო-მანქანებისა და მათი სამარაგო ნაწილების განაწილებაში;

რ) გაუწიოს ავტო-სატრანსპორტო საწარმოთა და ავტო-მეურნეობათა მუშაობას ზედამხედველობა, რასაც იგი განახორციელებს ფედერატიული მნიშვნელობის ავტო-საწარმოთა მიმართ—უშუალოდ, ხოლო დანარჩენ საწარმოთა და ავტო-მეურნეობათა მიმართ—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების მეშვეობით;

ს) შეიმუშაოს ა/კსფრ სტერიტორიაზე ავტო-მოტო-ტრანსპორტის ექსპლოატაციის საკითხები—თანახმად რესპუბლიკანური ავტო-მეურნეობათა და ავტო-საწარმოთა სამმართველოების მიერ წარდგენილი მასალებისა და საინსპექტორო კვლევითა და სამეცნიერო შესწავლით მოპოებული ცნობებისა;

ტ) გამოიკვლიოს სხვადასხვა ტიპისა და მარკის ავტო-მოტო-მანქანების მუშაობა ა/კსფსრ ფარგლებში და მისცეს დასკვნები ამ საკითხის გამო;

უ) შეიმუშაოს ავტო-სატრანსპორტო ბეგარასთან დაკავშირებული საკითხები;

ფ) მოიწვიოს ყრილობები და თათბირები ა/კსფსრ საგზაო და საავტომობილო მეურნეობის საკითხებისათვის და აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ მოწვეულ ყრილობებსა და თათბირებში;

ქ) შეადგინოს პერიოდული და საერთო ანგარიშები ა/კსფსრ-ში საგზაო და საავტომობილო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ და ამ მეურნეობის გამგე ორგანოების მოქმედების თაობაზე;

ღ) შეისწავლოს საკონცესიო ობიექტები და საგზაო და საავტომობილო საქმის დარგები;

ყ) შეიმუშაოს ღონისძიებანი საგზაო და საავტომობილო საქმის სფეროში წარმოების რაციონალიზაციისათვის; გაუწიოს მეთვალყურეობა საწარმოო თათბირებისა და კომისიების გადაწყვეტილებათა განხორციელებას და აწარმოოს აღნუსხვა მიღებული შედეგებისა და მიღწევებისა.

6. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს აპარატის სტრუქტურას განსაზღვრავს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი—არსებული წესისამებრ.

7. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს დაფინანსება განხორციელდება სსრკ-ის კანონმდებლობით და ა/კსფსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესისამებრ.

8. მთავარ სამმრთველოს უფროსს და მის მოადგილეებს დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

9. მთავარ სამმართველოს უფროსი მონაწილეობას იღებს სათათბირო ხმის უფლებით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებში.

შენიშვნა. უკეთუ მთავარ სამმართველოს უფროსი სხვაგან იმყოფება, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებს მისი მოადგილე.

10. მთავარ სამმართველოს უფროსი ხელმძღვანელობას უწევს სამმართველოს მუშაობას და აგრეთვე ანხორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მთავარ სამმართველოს ქვემდებარე დაწესებულებათა და პირთა მიმართ.

11. მთავარ სამმართველოს უფროსს უფლება აქვს ერთპიროვანად გამოიტანოს გადაწყვეტილება მთავარ სამმართველოს საგამგებლო ყველა საკითხის გამო, რაც უნდა აუწყოს თავის მოადგილეებს.

შენიშვნა. უკეთუ მოადგილენი თანახმანი არ არიან მთავარ სამართველოს უფროსის მიერ მიღებული ამა თუ იმ გადაწყვეტილებისა, მათ შეუძლიანთ განასაჩივრონ გადაწყვეტილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში, ხოლო თვით გადაწყვეტილების აღსრულების შეუჩერებლად-კი.

კერძოდ, მთავარ სამმართველოს უფროსს აქვს უფლება:

ა) განსაზღვროს უახლოესი ფარგალი იმ საქმეებისა, რაც შეადგენს მისი მოადგილეების გამგებლობის საგანს, და აგრეთვე გაანაწილოს მთავარ სამმართველოს განყოფილებებსა და ნაწილებს შორის სამუშაო;

ბ) დანიშნოს, გადაიყვან-გადმოიყვანოს და დაითხოვოს, მომქმედი კანონების თანახმად, მთავარ სამმართველოს პირადი შედგენილობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) განაგოს ხარჯთაღრიცხვით გასიგნებული კრედიტები, არსებული წესების დაცვით, და აგრეთვე დაამტკიცოს, ამა დებულებით და სათანადო კანონებით და წესებით დადგენილ ფარგლებში, საოპერატივო ხარჯების პროექტები და ხარჯთაღრიცხვები;

დ) განაპროტესტოს, არსებული წესისამებრ, მისი გამგებლობის საგნების მიხედვით, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოების და აგრეთვე ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების დადგენილებანი.

12. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს აქვს ბეჭედი ა/კსფსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებთ და თავისი სახელწოდებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. აპრილის 9. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 124 ა/კსფრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

71. უწყლო რაიონებში მდებარე რკინისგზის სადგურებისა და წყაროს (თვითმდინარი) წყლით მომარაგებული სადგურების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას წყალი უფასოდ უნდა მიეცეს.

„ამიერკავკასიის რკინისგზის წყალსადენის ნაგებობიდან არა-რკინისგზის საწარმოთათვის, დაწესებულებათათვის და მოსახლეობისათვის წყლის მიცემის წესის შესახებ“ გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-რი, მუხ. 609) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. მარტის 15-ს დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ა) ნუსხა ამიერკავკასიის რკინისგზის იმ სადგურებისა, რომელნიც მდებარეობენ უწყლო რაიონებში და სადაც ადგილობრივ გლეხ-მოსახლეობას უფასოდ ეძლევა ნაყიდი (მოტანილი) წყალი სასმელად და ბ) ნუსხა ამიერკავკასიის რკინისგზის სადგურებისა, რომელნიც მომარაგებულ არიან წყაროს (თვითმდინარი) წყლით და სადაც ადგილობრივ გლეხ-მოსახლეობას უფასოდ ეძლევა წყალი საოჯახო საჭიროებისათვის.

2. დაწესებულ იქნეს, რომ მოსახლეობისათვის უფასოდ წყლის მიწოდება მოვალეობას შეადგენს ხელისუფლების სათანადო ადგილობრივი ორგანოებისა, რომელთაც საამისო ხელშეკრულობითი ურთიერთობა აქვთ დამყარებული რკინისგზის გამგეობასთან.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—ვალდებულჰყონ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები, რათა მათ გაითვალისწინონ ადგილობრივ ბიუჯეტებში მოსახლეობისათვის უფასოდ წყლის მისაწოდებლად საჭირო ხარჯები 1929 წ. ოქტომბრის 1-დან.

ნუსხა

ამიერკავკასიის რკინის გზების იმ სადგურებისა, რომელნიც მდებარეობენ უწყლო რაიონებში და სადაც ადგილობრივ გლეხ-მოსახლეობას უფასოდ ეძლევა ნაყიდი (მოტანილი) წყალი სასმელად.

სადგურების სახელწოდება:

თათლუ, ქოვლიარი, ალაბაშლი, ზაზალი, მინგაჭაურ, ალიკენტი, მიუსუსლი, ქიურდამირი, საღირი, მულანი, ფირსოლათი, ნავაღი, ათ-ბულახი, ყარადაღი (ჩერნოგორკა), ხურდალანი, გიუზდექი, ნასოსნაია, სიაზანი, ლეჯეთი, არაქსი, არარატი, ეჩმიაძინი, ალავერდი, აირუმ, სადახლო.

ნუსხა

ამიერკავკასიის რკინის გზების იმ სადგურებისა, რომელნიც მომარაგებულ არიან წყაროს (თვითმდინარე) წყლით და სადაც ადგილობრივ გლეხ-მოსახლეობას უფასოდ ეძლევა წყალი საოჯახო საჭიროებისათვის.

სადგურების სახელწოდება:

მოლითი, წიფა, ხაშური, ახალდაბა, ბორჯომი, წაღვერი, ცემი, მცხეთა, ახალსენაკი, ტყიბულა, ჭიათურა, საჩხერე, საგარეჯო, გურჯაანი, თელავი, ბოსლევი, სალიეთი, აქსტაფა, ძეგამი, გერანი, სანაინი, ყალაგერანი, შაღალი, ბამბაკი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. აპრილის 9. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 125 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

72. „ა/კსფსრ-ში მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 5-ს თარიღისა და 35 №-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

თანახმად სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. იანვრის 30-ს დადგენილებისა, რომლითაც დამტკიცებულია „მუშათა ბინების მშენებლობის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულება ახალი რედაქციით“, და თანახმად „მუშათა ბინების მშენებლობის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულებისა“ (სსრკ კან. კრ. 1929 მე-9 №-რი, მუხ. 83 და 84)—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „ა/კსფსრ-ში მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აპრილის 5-ს დადგენილების 1-ლი მუხლის ლიტ. „ა“ მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სესხის მიცემით მუშათა საბინაო მშენებლობის და კრედიტების სპეციალური კაპიტალებიდან სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა ბინების მშენებლობის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ„ 1929 წ. იანვრის 30-ს დამტკიცებული დებულების (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-9 №-რი, მუხ. 84) 24 და 27 მუხლების წესისამებრ“.

2. მუხლი მე-10 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„10. მუშათა ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას შეღავათი შენობათა ადგილობრივი გადასახადისა და რენტისა, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადის სფეროში მიეცემა საერთო საფუძველზე, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული „მუშათა საბინაო მშენებლობის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულების“ 36,37 და 38 მუხლების თანახმად“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსიენოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

1929 წ. აპრილის 17. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 126 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

73. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილების გაუქმების შესახებ, რომლითაც განსაზღვრულია წესი შრომის ინსპექტორების მიერ დამქირავებელთა პასუხისგებაში მიცემისა—სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოთა, დაწესებულებათა და მეურნეობათა მუშამოსამსახურეების შრომის დაცვის მიზნით გამოცემული დადგენილებების აღუსრულებლობისათვის.

„შრომის კანონმდებლობის დარღვევასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული (სსრკ კან. კრ 1929 წ. მე-4 №-რი, მუხ. 31) სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 2-ს დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აგვისტოს 13-ს თარიღისა და 48 №-ის დადგენილება „შრომის ინსპექტორების მიერ დამქირავებელთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოთა, დაწესებულებათა და მეურნეობათა მუშამოსამსახურეების შრომის დაცვის მიზნით გამოცემული დადგენილებების აღუსრულებლობისათვის“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-8 №-რი, მუხ. 488).

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეუსაბამონ თავიანთი კანონმდებლობა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნულ, 1929 წ. იანვრის 2-ის, დადგენილებას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

1929 წ. აპრილის 18 ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 136 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

73. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილების გაუქმების შესახებ, რომლითაც განსაზღვრულია წესი შრომის ინსპექტორების მიერ დამქირავებელთა პასუხისგებაში მიცემისა—სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოთა, დაწესებულებათა და მეურნეობათა მუშამოსამსახურეების შრომის დაცვის მიზნით გამოცემული დადგენილებების აღუსრულებლობისათვის.

„შრომის კანონმდებლობის დარღვევასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული (სსრკ კან. კრ 1929 წ. მე-4 №-რი, მუხ. 31) სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 2-ს დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აგვისტოს 13-ს თარიღისა და 48 №-ის დადგენილება „შრომის ინსპექტორების მიერ დამქირავებელთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოთა, დაწესებულებათა და მეურნეობათა მუშამოსამსახურეების შრომის დაცვის მიზნით გამოცემული დადგენილებების აღუსრულებლობისათვის“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-8 №-რი, მუხ. 488).

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეუსაბამონ თავიანთი კანონმდებლობა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნულ, 1929 წ. იანვრის 2-ის, დადგენილებას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

1929 წ. აპრილის 18 ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 127 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

74. ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ წყალთა მეურნეობის მოსაწესრიგებლად საჭირო საძიებლო, საკვლეო და საპროექტო მასალების ინვენტარიზაციის წარმოების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მოახდინოს სასწრაფო წესით დაწვრილებითი ინვენტარიზაცია და სამეცნიერო-ტეხნიკური შეფასება ყველა ქონებული, როგორც ამდროისა, ისე რევოლიუციის წინადროის საძიებლო, საკვლეო და საპროექტო მასალებისა, იმ პირობით, რომ ეს მუშაობა დამთავრებულ იქნეს ექვსი თვის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

2. რათა ზემოაღნიშნული მუშაობა წარმატებით იქნეს შესრულებული, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულება და აგრეთვე კერძო პირი, ვის განკარგულებაშიაც წყალთა მეურნეობის შესახები პროექტები, ნახაზები და სხვა მასალაა,—შეძენილია იგი თუ მენაცვლეობის წესით გადასული კავკასიის წყალთა ინსპექციის ყოფილ სამმართველოსაგან,—მოვალეა, ერთი თვის ვადაზე დღეის რიცხვიდან, წარუდგინოს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მის ხელთ ქონებული მასალის დაწვრილებითი ნუსხა.

3. უფლება მიეცეს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაათვალიეროს და აგრეთვე მიიღოს სახელმწიფო დაწესებულებებიდან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან საჭირო მასალა; ხოლო, უკეთუ აღნიშნულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს თვით ესაჭიროებათ ეს მასალა, ა/კ. წყალთა მურნეობის სამმართველოს უფლება ეძლევა გადაიღოს ასლი ამ მასალისა სათანადი გამოყენებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

1929 წ. აპრილის 18. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 128 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

75. საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეებზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. იანვრის 14-ს თარიღისა და 53 №-ის დადგენილების გავრცელების შესახებ, რა დადგენილებითაც განსაზღვრულია სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა, დაწესებულებათა და საწყობთა სავაჭრო დარგის იმ მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობა, რომელთაც მინდობილი აქვთ ქონებრივი ფასეულობა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გავრცელებულ იქნეს სახელმწიფო და კოოპერატიულ საკრედიტო დაწესებულებების მოსამსახურეთა იმ კატეგორიებზე, რომელთაც მინდობილი აქვთ პასუხისმგებლობის წესით ქონებრივი (სასაქონლო და ფულადი) ფასეულობა, სახელდობრ: საწყობების გამგეებზე, საგანძურების გამგეებზე და მოლარეებზე, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 14-ს თარიღისა და 53 №-ის დადგენილება „სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა, დაწესებულებათა და საწყობთა სავაჭრო დარგის იმ მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაც მინდობილი აქვთ ქონებრივი ფასეულობა (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-15 №-რი, მუხ. 162).

2. სახელმწიფო და კოოპერატიულ საკრედიტო დაწესებულებებთან, მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის მხრით, გათანაბრებულ არიან აგრეთვე სას.-სამ. კრედიტის დაწესებულებანი და კომუნალური ლომბარდები.

3. მიენდოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს—შეიტანოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1928 წ. ივნისის 14-ს თარიღისა და 53 №-ის, დადგენილების მე-4 მუხ. თანახმად გამოცემულ წესებში სათანადო დამატება სავაჭრო დარგის მოსამსახურის მიერ დამქირავებლის ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

1929 წ. აპრილის 18. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 129 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

76. სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამა დადგენილების მე-11 მუხლში აღნიშნულ ყველა დაწესებულებასა და საწარმოში შემოიღება მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის სისტემა, რასაც საფუძვლად უნდა დაედვას:

ა) თანამდებობათა ნომენკლატურა და დახასიათება; ამასთანავე, ყველა ის თანამდებობანი, რომელნიც თანაბარნი არიან სამუშაოს ხასიათითა და მოცულობით, უნდა აღინიშნონ ერთი სახელწოდებით;

ბ) მტკიცე შტატები, ამა მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნომენკლატურის შეფარდებით;

გ) მტკიცე ჯამაგირი თვითეული საშტატო თანამდებობისათვის.

შენიშვნა. იმ თანამდებობათა ჯამაგირი, რომელნიც პასუხისმგებლობის მნიშვნელობით და კვალიფიკაციით თანაბარნი არიან, ყველა დაწესებულებაში ერთგვარი უნდა იყოს; ხოლო, ამასთანავე, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს დაფინანსების საშუალება საერთო-სახელმწიფოებრივი ბიუჯეტისა, ადგილობრივი ბიუჯეტისა და სამეურნეო ანგარიშის წესისამებრ და ტერიტორიალური ნიშნის (რაიონის) მიხედვით.

2. ყველა იმ დაწესებულებისა და საწარმოს მტკიცე შტატებს (1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტ.), სადაც სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის სისტემა შემოიღება, სახელმწიფო ტრესტების (მე-11 მუხ „დ“ პუნ.) გამგეობათა ცენტრალური აპარატების გამოკლებით, დაადგენს საამიერკავკასიო მნიშვნელობის დაწესებულებასა და საწარმოში—ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი, ხოლო ადგილობრივი და რესპუბლიკანური მნიშვნელობის დაწესებულებასა და საწარმოში—სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი.

შტატებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი დაადგენს სათანადო პროფესიონალური კავშირისა და დაინტერესებული დაწესებულების მონაწილეობით; ამასთანავე, იმ დაწესებულების შტატის დადგენა, რომელიც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფება, შეფარდებულ უნდა იქნეს სათანადო ბიუჯეტის განხილვის მომენტთან.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი შტატი შეიძლება შესცვალოს საბიუჯეტო წლის განმავლობაში მარტოოდენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა, დაწესებულების რაციონალიზაციის განხორციელების დროს, როგორც თავისი ინიციატივით, ისე უწყების ინიციატივით.

რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო ტრესტების გამგეობათა ცენტრალური აპარატების შტატებს დაადგენენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები, კუთვნილებისამებრ, სათანადო პროფესიონალური კავშირის მონაწილეობით.

ყველა იმ დაწესებულებასა და საწარმოში, სადაც განხორციელდება სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვა, შტატების დადგენის დროს შეფარდებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ განსაზღვრული თანამდებობათა ნომენკლატურა.

3. საამიერკავკასიო მნიშვნელობის დაწესებულებისა და საწარმოს თვითეული საშტატო თანამდებობის ჯამაგირს (1-ლიმუხ. „გ“ პუნ.) ცენტრში და ადგილობრივ დაადგენს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, სათანადო პროფესიონალური კავშირისა და დაინტერესებული უწყების მონაწილეობით.

ადგილობრივი და რესპუბლიკანური მნიშვნელობის დაწესებულებისა და საწარმოს თვითეული საშტატო თანამდებობის ჯამაგირს ცენტრში და ადგილობრივ დაადგენს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი—რესპუბლიკანური ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, დაინტრესებული უწყებისა და სათანადო პროფესიონალური კავშირის მონაწილეობით.

4. საამიერკავკასიო მნიშვნელობის დაწესებულებისა და საწარმოს რესპუბლიკანური ორგანოების შტატებისა და ჯამაგირის პროექტებს შეიმუშავებენ წინასწარ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები და ფინანსთა სახალხო კომისარიატები, კუთვნილებისამებრ—სათანადო პროფესიონალური კავშირისა და დაინტერესებული უწყების მონაწილეობით და სათანადო უწყების ხელმძღვანელთან შეთანხმებით ცენტრში.

5. სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის წესისამებრ, სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების მოსამსახურეთა ჯამაგირის განსაზღვრის დროს ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს ის სახსარი, რაც სამუშაო ხელფასზე იხარჯება ბიუჯეტ-გარეშე წყაროდან, რომელსაც დაკანონებული დასაბუთება აქვს და რომლის დახარჯვაც სამუშაო ხელფასზე გათვალისწინებულია ამ სახსრის განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვით; ხოლო, ამასთანავე, ეს სახსარი უნდა მოხმარდეს მარტოოდენ განსაკუთრებული შტატის შენახვას, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის მოთავსებული, და არავითარ შემთხვევაში—სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული შტატის დამატებით სასყიდელს.

სხვა ყოველგვარი შემოსავალი მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული და მისი დახარჯვა სამუშაო ხელფასზე უნდა მოისპოს; ხოლო ამ შემოსავლის ნაცვლად უწყებამ უნდა გამოითხოვოს სათანადო სახსარი კანონიერ წყაროდან.

უკეთუ ეს სახსარი არ გაიცა, შტატი სათანადოდ შემცირებულ უნდა იქნეს.

6. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი მტკიცე ჯამაგირი შეუძლიან შესცვალოს მხოლოდ შრომის სახალხო კომისარიატს მარტოოდენ ამა დადგენილების მე-3 მუხლის წესისამებრ და ისიც მხოლოდ სამუშაო ხელფასის თვიური ასიგნვის ფარგლებში და თანაც განსაკუთრებულ შემთხვევაში.

7. ამა დადგენილების მე-2 და 3 მუხ. წესისამებრ დადგენილი შტატები და ჯამაგირები საბოლოოა და არა საჭიროებს დამტკიცებას ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების (კუთვნილებისამებრ) მხრით.

8. სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვა, მის ახლანდელ სტადიაში, არ შეიძლება საფუძვლად დაედვას ჩამორჩენილი ჯგუფების სამუშაო ხელფასის გამოსწორებას და აგრეთვე საერთო ნიველირობასა და გადიდებას; ხოლო, ამასთანავე, მან არ უნდა გამოიწვიოს ფაქტიური სამუშაო ხელფასის შემცირება მომუშავეთა რამოდენადმე თვალსაჩინო რიცხვისათვის.

9. კრედიტები სამუშაო ხელფასისათვის განსაზღვრულ უნდა იქნეს დადგენილი შტატებისა და ჯამაგირების (2 და 3 მუხ.) მიხედვით, რასაც დაემატება შემდეგი თანხები:

ა) არსებული წესისამებრ ნებადართული ზედმეტი სამუშაო სასყიდლისათვის;

ბ) სათანამდებობო ჯამაგირის ზედნართის სასყიდლის მისაცემად იმ მაღალი კვალიფიკაციის პირთათვის, რომელთაც ეს ზედნართი მიკუთვნებული აქვთ პერსონალურად, განსაკუთრებული წესისიმებრ, რასაც დაადგენს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით;

გ) გამოსასვლელი დახმარებისა და არგამოყენებული შვებულების კომპენსაციის გასაცემად, აგრეთვე შვებულებაში და წარვლინებაში მყოფ მოსამსახურეების მენაცვლეთა სასყიდლის გასაცემად;

დროებითი მოსამსახურეებისათვის შრომის სასყიდლის მისაცემად იქ, სადაც, დაწესებულების მუშაობის ხასიათის მიხედვით, საბიუჯეტო წლის განმავლობაში ეს საჭირო იქნება; ამ მიზნისათვის კრედიტის გამოანგარიშება განისაზღვრება განსაკუთრებული წესებით, რასაც გამოსცემს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით; ამ კატეგორიის მოსამსახურეთა გასამრჯელოს რაოდენობა განსაზღვრულ უნდა იქნეს ანალოგიური თანამდებობების ჯამაგირების მიხედვით, რაც დადგენილია იმავე დაწესებულებაში სახელმწიფოებრივი დანორმვის წესისამებრ.

შენიშვნა. აღნიშნული კრედიტები გამოიანგარიშება ამა დადგენილების მე-11 მუხ. გათვალისწინებული დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვებში საბოლოოდ დამტკიცებული სამუშაო ხელფასის ფონდების ფარგლების მიხედვით.

10. უკეთუ მე-9 მუხლის თანახმად გაცემული კრედიტი გამოყენებულ ვერ ინქნა თავისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ, იგი არ შეიძლება დაიხარჯოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა რამ საჭირებაზე და შეტანილ უნდა იქნეს სახელმწიფოს შემოსავალში ყოველთვიურად.

11. სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვა ვრცელდება შემდეგ დაწესებულებებზე:

ა) სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ყველა სახელმწიფო დაწესებულებაზე;

ბ) საკრედიტო დაწესებულებებზე;

გ) სოციალური დაზღვევისა და სახელმწო დაზღვევის ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ორგანოებზე და შემნახველ სალაროებზე;

დ) სახელმწიფო ტრესტების გამგეობათა ცენტრალურ აპარატებზე;

ე) სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა ცენტრალურ სამმართველობო აპარატებზე;

ვ) სპეციალურ სახსარზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებებზე.

შენიშვნა. მე-11 მუხლში აღნიშნულ ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ორგანოებში განსახორციელებელ სათანადო სამუშაოთა გეგმებსა და ვადებს დაადგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

12. სახელმწიფო დაწესებულებათა აპარატების რაციონალიზაციისა და შემცირებისათვის წარმოებული მუშაობა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაბრკოლებელ მიზეზად სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის სისტემის დაუყოვნებლივ განხორციელებისათვის და ზემოაღნიშნული მუშაობა უნდა სწარმოებდეს სახელმწიფოებრივი დანორმვის სისტემის დამოუკიდებლად.

13. ვიდრე განხორციელებული იქნებოდეს ამა დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი, იმ დაწესებულებასა და საწარმოში, რომელზედაც ვრცელდება ესე დადგენილება, დაცულ უნდა იქნეს მოსამსახურეთა შრომის სასყიდლის გაცემის არსებული სისტემა.

14. სამეურნეო (კომერციულ) ანგარიშზე მყოფ დაწესებულებებში, გარდა მე-11 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნულისა, დაცულ უნდა იქნეს სამუშაო ხელფასის კოლექტიური ხელშეკრულებებით მოწესრიგების სისტემა.

ამასთანავე, სამეურნეო (კომერციულ) ანგარიშზე მყოფ საწარმოთა სამმართველობო აპარატში განხორციელებულ უნდა იქნეს სათანამდებობო ჯამაგირების კოლექტიური ხელშეკრულებების მიხედვით დადგენის სისტემა, იმ ჯამაგირების თანახმად, რაც მიღებულია სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის მქონე სახელმწიფო დაწესებულებებში.

შენიშვნა. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებმა,— იმ კოლექტიური ხელშეკრულებების რეგისტრაციის დროს, რაც ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა და საწარმოთა სამმართველობო აპარატების მოსამსახურეებს შეეხება,—უნდა იხელმძღვანელონ, შეძლებისდაგვარად, ეს დადგენილება; თანაც სავსებით მხედველობაში უნდა მიიღონ თვითეული დაწესებულებისა და საწარმოს ინდივიდუალური თავისებურობა.

15. მიენდოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს, არა უგვიანეს 1929 წ- ივლისის 1-სა, სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის უნიფიკაციის ხუთწლიანი გეგმა, მომუშავეთა ცალკე ჯგუფებს შორის სწორე თანაფარდობის საფუძველზე, ა/კსფსრ ტერიტორიალური პირობების მხედველობაში მიღებით.

16. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს გადასინჯოს და შეავსოს ზედმიწევნობამდე, არა უგვიანეს 1929 წ. მაისის 1-სა [სახელმწიფო დაწესებულებების თანამდებობათა სასტანდარტო ნომენკლატურა და შეიმუშაოს ამ თანამდებობათა ფუნქციების დახასიათება.

17. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატმა უნდა იქონიოს საერთო მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა გაუწიოს სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის სისტემის განხორციელების საქმეს.

დაეკისროს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს მოაწყოს თავის დროზე საფინანსო კონტროლი სამუშაო ხელფასის ხარჯების წარმოებისათვის და იხმაროს სათანადო ღონისძიებანი დარღვევათა თავიდან ასაცილებლად და დარღვევაში დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად.

18. დაეკისროს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—გამოსცენ, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

19. გაუქმებულ იქნენ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი:

ა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 1-ს თარიღისა და 56 №-ის დადგენილება „ა/კსფსრ-ში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის განხორციელების შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. 23 №-რი, მუხ. 247);

ბ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 7-ს თარიღისა და 48 №-ის დადგენილება „1928-29 წლისთვის სამუშაო ხელფასის ფონდის აღრიცხვის თაობაზე დირექტივების გაცემის შესახებ“ (კან. კრ. 1928 წ. მე-14 №-რი, მუხ. 146).

გ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივლისის 24-ს თარიღისა და 58 №-ის დადგენილება „სამუშაო ხელფასის ნაშთის სახელმწიფო შემოსავალში შეტანის ვადების შესახებ“ (კან. კრ. 1928 წ. მე-17 №-რი, მუხ. 178).

დ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივლისის 24-ს თარიღისა და 59 №-ის დადგენილება „1928-29 წლისათვის სამუშაო ხელფასის ფონდის აღრიცხვის თაობაზე დირექტივების გაცემის შესახებ“ 1928 წ. ივლისის 7-ს თარიღითა და 48 №-ით გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ“ (კან. კრ. 1928 წ. მე-17 №-რი. მუხ. 179).

ე) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აგვისტოს 4-ს თარიღისა და 60 №-ის დადგენილება „ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში

სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის განხორციელების შესახებ“ (კან. კრ. 1928 წ. მე-18 №-რი, მუხ. 190).

ვ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 14-ს თარიღისა და 103 №-ის დადგენილება „საკრედიტო დაწესებულებებისა, სოციალური და სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებისა, სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვაზე მყოფი დაწესებულებებისა, შემნახველი სალაროებისა, სახელმწიფო ტრესტების გამგეობათა ცენტრალური აპარატებისა და სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა ცენტრალური სამმართველობო აპარატების მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის შესახებ“ (კან. კრ. 1929 წ. მე-4 №-რი, მუხ. 27).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. აპრილის 18. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

77. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის დებულებისათვის მე-4-ა მუხლის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის დებულებას დაემატოს მე-4-ა მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„4-ა. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას ექვემდებარება:

ა) პირველი ინსტანციის სახით—საქმე საამიერკავკასიო (ფედერატიული) მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა და იმ შერეულ სააქციო საზოგადოებათა არაშემძლეობის შესახებ, რომელნიც გატარებულ უნდა იქნენ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეგისტრაციაში, და აგრეთვე საქმე,—ვიდრე ა/კსფსრ უზენაესი სასამართლო მოეწყობოდეს,—საამიერკავკასიო (ფედერატიული) მნიშვნელობის კოოპერატიული კავშირებისა და მუშათა ცენტრალური კოოპერატივების არაშემძლეობის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მეორე ინსტანციის სახით—საქმე იმ საჩივრისა, რასაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საარბიტრაჟო კომისიების დადგენილების გამო—საწარმოს არაშემძლედ აღიარებაზე უარის თქმის შესახებ—შეიტანენ ისეთი კრედიტორები, რომელნიც არიან ან საერთო-საკავშირო, ან საამიერკავკასიო (ფედერატიული) ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკისა, ან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის დაწესებულებანი და საწარმონი, ხოლო არა იმ რესპუბლიკისა, რომელსაც მოვალე საწარმო ეკუთვნის".

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1929 წ. აპრილის 16.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

78. საგლეხო მეურნეობაში საქირავნო შრომის კანონების შეფარდებისათვის ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ.

გამოკვლევათა მასალებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სისწორით არ არის შეფარდებული შრომის კანონთა კოდექსი და დროებითი წესები საგლეხო მეურნერბაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების პირობების შესახებ (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 26 №-რი, მუხ. 183; 1927 წ. 60 №-რი, მუხ. 609 და 1928 წ. 22 №-რი, მუხ. 196), რაც იმაში გამოიხატა, რომ შრომის კანონთა კოდექსი პრაქტიკაში ეფარდებოდა შრომითი საგლეხო მეურნეობებსა, ხოლო დროებითი წესები—სამრეწველო-კულაკურ მეურნეობებს.

აღნიშნული კანონების არასათანადო შეფარდებამ გამოიწვია შედეგად სოფლის მეურნეობის მუშათა შრომის პირობების დარღვევა, მაგალითად: გადიდებული სამუშაო დღე, შრომის ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა არქონა, სპეცტანისამოსის მიუცემლობა, სამუშაო ხელფასის თავის დროზე მიუცემლობა, დაქირავებულთა უვარგისს სადგომებში მოთავსება, სოციალური დაზღვევის არასისრულით განხორციელება და სხვ.

რათა შემდგომ თავიდან აცილებული იყოს კანონის ასეთი დარღვევა და უზრუნველყოფილ იქნეს მტკიცე მეთვალყურეობა საგლეხო შრომითი მეურნეობებში ზემოდასახელებული დროებითი წესების ზედმიწევნითი შესრულება და შეფარდება, აგრეთვე შრომის კანონთა კოდექსის განხორციელება სამრეწველო-კულაკური ტიპის მეურნეობების მიმართ, და რათა ჩატარებულ იქნეს ადგილებ-

ზე პოპულარიზაცია შრომის კანონმდებლობისა სოფლის მეურნეობის მუშათა შრომის პირობების შესახებ,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს—მიაწოდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს პრაქტიკული დირექტივები სამრეწველო-კულაკური ტიპის მეურნეობებში შრომის კანონთა კოდექსის შეფარდებისათვის ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გააძლიერონ ზედამხედველობა, რათა ზედმიწევნით შესრულებულ იქნეს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 18-ს დადგენილებით დამტკიცებული „დროებითი წესები—საგლეხო შრომითი მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების პირობების შესახებ“, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ივნისის 30-ს ინსტრუქცია—სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების შეფარდების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-18 №-რი, მუხ. 475 და 1928 წ. მე-9 №-რი, მუხ. 100) და შემდგომი დადგენილებანი—სოფლის მეურნეობის მუშათა შრომის პირობების შესახებ საგლეხო შრომითი მეურნეობებში.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) გააძლიერონ ზედამხედველობა, რათა ზედმიწევნით შესრულებულ იქნეს სამრეწველო-კულაკური ტიპის მეურნეობებში შრომის კანონთა კოდექსი და განხორციელებული იყოს სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 20-ს დადგენილება—კულაკური მეურნეობებისათვის შრომის კანონთა კოდექსის შეფარდების წესის შესახებ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-რი, მუხ. 117);

ბ) ვალდებულჰყონ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები: იხმარონ ღონისძიება, რათა სავსებით განხორციელებულ იქნეს შრომის კანონმდებლობა სოფლის მეურნეობის მუშების შრომის პირობების შესახებ; გააძლიერონ მუშაობა სადაირო, სათემო და საუბნო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოებისათვის ინსტრუქტირობის გასაწევად შრომის ხელშეკრულებათა სავალდებულო რეგისტრაციის საქმეში; იხმარონ ღონისძიება, რათა სასოფლო საბჭოებთან თავის დროზე მოეწყოს სამომრიგებლო კომისიები; გამოქვეყნებულ იქნეს ეროვნულ ენებზე დროებითი წესები და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ინსტრუქცია საკმაო რაოდენობით; მიეწოდოს სასოფლო საბჭოებს, საკმაო რაოდენობით, დადგენილი ფორმის დავთრები შრომის ხელშეკრულებათა რეგისტრაციისათვის და სხვადასხვა გამოცემები, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მუშების შრომის პირობების შესახებ არსებული კანონმდებლობის ფართო პოპულარიზაციას;

გ) ვალდებულჰყონ სამაზრო, სადაირო, სათემო და საუბნო აღმასრულებელი კომიტეტები დააკისრონ პრეზიდიუმის ერთ-ერთ წევრს მუდმივი თვალყურის დევნება შრომის კანონთა აღსრულებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მიიღონ ღონისძიება, რათა გამოცოცხლებულ იქნეს საბჭოების სოციალურ-კულტურული სექციების მუშაობა შრომის საკითხების სფეროში;

ე) მიიღონ ღონისძიება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახალხო სასამართლოების მიერ სოფლის მეურნეობის მუშათა შრომის კონფლიქტების საქმეების სასწრაფოდ განხილვა და თავიდან აცილებულ იქნეს ამ საქმეების გაჭიანურება;

ვ) მიიღონ ღონისძიება, რათა აუცილებლად პასუხისგებაში იქნენ მიცემული ის პირნი, ვინც სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის მოწესრიგების კანონმდებლობას დაარღვევს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. აპრილის 16. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

79. სსრკ-ის მთავრობასთან მყოფი ა/კსფსრ-ის მუდმივი წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება სსრკ-ის მთავრობასთან მყოფი ა/კსფსრ-ის მუდმივი წარმომადგენლობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. აპრილის 28. ტფილისი—სასახლე.

დებულება სსრკ-ის მთავრობასთან მყოფი ა/კსფსრ-ის მუდმივი წარმომადგენლობის შესახებ.

1. სსრკ-ის მთავრობასთან მყოფ ა/კსფსრ-ის მუდმივ წარმომადგენლობას დაეკისრება განახორციელოს მუდმივი კავშირი ა/კსფსრ-ის მთავრობისა სსრკ-ის მთავრობასთან და ა/კსფსრ-ის ინტერესების წარმომადგენლობა სსრკ-ის ორგანოების წინაშე.

2. ა/კსფსრ მუდმივი წურმომადგენლობის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) გაატაროს სსრკ საკანონმდებლო ორგანოებში ა/კსფსრ მთავრობის საკანონმდებლო განზრახულებანი;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სსრკ უზენაესი ორგანოების საკანონმდებლო მოქმედებაში—საერთო-საკავშირო კანონმდებლობით და ა/კსფსრ კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფარგლებში;

გ) გასწიოს ა/კსფსრ ინტერესების წარმომადგენლობა საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატების კომპეტენციისათვის მიკუთვნებული საკითხების სფეროში;

დ) აღასრულოს ა/კსფსრ მთავრობის ცალკე მინდობილობანი და დავალებანი;

ე) მიაწოდოს სისტემატიურად ა/კსფსრ მთავრობას ცნობები სსრკ ორგანოების მოქმედების შესახებ ამ მოქმედების ფარგალში შემავალი საკითხების შემუშავებისა და მსვლელობის გამო და აგრეთვე სსრკ სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის სხვადასხვა დარგის მდგომარეობის შესახებ, რასაც უშუალო ინტერესი აქვს ა/კსფსრ-თვის.

ვ) მიაწოდოს სსრკ უმაღლეს ორგანოებს, მათი შეკითხვების თანახმად, ცნობები ა/კსფსრ ტერიტორიაზე საერთო-საკავშირო კანონმდებლობის აქტების განხორციელებისა და სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებების შესრულების შესახებ, აგრეთვე ა/კსფსრ მთავრობის ღონისძიებათა შესახებ სახელმწიფოებრივი და მეურნეობრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგის გამო;

ზ) თვალყური ადევნოს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადგენილი წესისამებრ, ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა იმ წარმომადგენლობებისა, განყოფილებებისა, კონტორებისა და სხვ. მოქმედებას, რომელნიც მოსკოვში მუშაობენ.

3. ამ მიზნების განსახორციელებლად მუდმივი წარმომადგენლობა:

ა) მონაწილეობას მიიღებს, სსრკ კანონმდებლობისა და ა/კსფრს მთავრობის დირექტივების მიხედვით, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომებში, აღნიშნული ორგანოების კომისიების (სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, საბიუჯეტო კომისიისა, მომმზადებელი კომისიისა და სხვ.) სხდომებში, და ყოველგვარ საუწყებათაშორისო თათბირში;

ბ) შეიტანს, ა/კსფსრ უმაღლესი ორგანოების მინდობილობით, სსრკ ცენტრალური აღმსსრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, სახალხო კომისათა საბჭოში და სსრკ შრომისა და თათდაცვის საბჭოში დადგენილებათა პროექტებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, აგრეთვე, შეიტანს, ა/კსფსრ მთავრობის დირექტივების მიხედვით, საჭირო შესწორებასა და ცვლილებას სსრკ ზემოაღნიშნული ორგანოების დადგენილებების პროექტების განხილვის დროს;

გ) მისცემს დამოუკიდებლად, ხოლო ამას დაუყოვნებლივ აცნობებს ა/კსფსრ მთავრობას, დასკვნას სსრკ უმაღლესი ორგანოების მიერ იმ განსახილველ დადგენილებათა პროექტების გამო, რასაც აქვს საერთო-საკავშირო მნიშვნელობა ან რაც ეხება ა/კსფსრ-ის და მასში შემავალი რესპუბლიკების ინტერესებს, რამდენადაც ამ დადგენილებების სასწრაფოდ გატარება შეუძლებლად ჰქმნის დაცდას, რათა დასკვნა უშუალოდ ა/კსფსრ მთავრობისაგან იქნეს მიღებული;

დ) წარმართავს, არსებული წესისამებრ, ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის პროტესტს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დედგენილებათა გამო, აგრეთვე სსრკ სახალხო კომისარიატების განკარგულებათა გამო;

ე) განაპროტესტებს, საჭირო შემთხვევაში, თავისი ინიციატივით, სათანადო უმაღლეს ორგანოებში სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს და მომმზადებელი კომისიის დადგენილებებს და საკავშირო სახალხო კომისარიატების განკარგულებებს, რასაც დაუყოვნებლივ ა/კსფსრ მთავრობას აცნობებს;

ვ) წარუდგენს სსრკ უმაღლეს ორგანოებს შუამდგომლობას სსრკ ძირითადი კანონის მე-2 კარის 1-ლი თავის 1-ლი მუხლის „ყ" (III) პუნქტის წესით აღძრული საკითხების გადაწყვეტის შესახბ;

ზ) თვალყურს ადევნებს ა/კსფსრ მთავრობის მიერ აღძრული საკითხების სსრკ ყველა ორგანოებში მსვლელობას;

თ) იქონიებს ურთიერთ მიმართვას სსრკ ორგანოებთან, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლობებთან, რომელნიც სსრკ მთავრობასთან იმყოფებიან, საჭირო ინფორმაციის მისაღებად ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესუბლიკების მთავრობათათვის და აგრეთვე სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების ორგანოებისათვის ცნობების მისაწოდებლად ამიერკავკასიის ცხოვრების შესახებ და ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ორგანოების მოქმედების შესახებ, და მათ მოქმედებაში მაქსიმალური შეთანხმების უზრუნველსაყოფად;

ი) წარმართავს ა/კსფსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში და სახალხო კომისართა საბჭოში სსრ საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებების პროექტებს, რომელთა შესახებ საჭიროა მოკავშირე რესპუბლიკების მიერ აზრის გამოთქმა; აგრეთვე წარმართავს საკავშირო სახალხო კომისარიატების ინსტრუქციებსა და განკარგულებებს, რაც შეთანმებულ უნდა იქნეს მოკავშირე რესპუბლიკებთან, და აცნობებს ა/კსფსრ ზემოაღნიშნულ ორგანოებს თავის მოსაზრებას ამ პროექტების შესახებ;

კ) გაუგზავნის რეგულიალურად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიშებს სსრკ უმაღლესი ორგანოებისა და უწყებების მოქმედების შესახებ და სსრკ უმაღლეს ორგანოებში და მის სახალხო კომისარიატებში სხვადასხვა საკით-

ხების მსვლელობის თაობაზე, რასაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვს ან რაც ა/კსფსრ ინტერესებს ეხება.

შენიშვნა. წარმომადგენლობის მიერ, ამა მუხლის „ი“ და „კ“ წესით, ა/კსფსრ უმაღლეს ორგანოებში წარგზავნილი მასალების ასლი უნდა გაეგზავნოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს, ხოლო, სათანადო შემთხვევაში, აგრეთვე ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასაც და ა/კსფსრ დაინტერესებულ უწყებებს.

ლ) შეასრულებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა დავალებებს ამა თუ იმ საკითხის გამო, რასაც კავშირი აქვს მოკავშირე რესპუბლიკების საადმინისტრაციო და საკანონმდებლო პრაქტიკასთან.

4. თავის მოქმედებაში მუდმივი წარმომადგენლობა იხელმძღვანელებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებებსა, განკარგულებებსა და დირექტივებს.

5. მუდმივი წარმომადგენლობის მოქმედებას უახლოესად წარმართავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

6. ა/კსფსრ მუდმივი წარმომადგენლობის სათავეში იმყოფებიან: მუდმივი წარმომადგენელი და ორი მისი მოადგილე, რომელთაც დანიშნავს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით.

7. მუდმივი წარმომადგენელი და მისი მოადგილენი წარმართავენ მთლად მუდმივი წარმომადგენლობის მუშაობას და პასუხს აგებენ ამ მუშაობისათვის ა/კსფსრ მთავრობის წინაშე.

8. მუდმივ წარმომადგენლობას ჰყავს თავისი აპარატი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული შტატის მიხედვით. წარმომადგენლობის ცალკე განყოფილებათა შორის მუშაობას გაანაწილებენ და მოსამსახურეებს დანიშნავენ და დაითხოვენ მუდმივი წარმომადგენელი და მისი მოადგილენი.

9. მუდმივი წარმომადგენლობისათვის ა/კსფსრ უმაღლესი ორგანოების მოქმედების შესახებ ცნობების თავის დროზე და სისრულით მისაწოდებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სეკრეტარიატი, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპულიკების სათანადო ორგანოები რეგულიარულად უგზავნიან წარმომადგენლობას ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასულებელი კომიტეტისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოების ყველა დადგენილებას სათანადო დანართებით; აგრეთვე, აღნიშნული ორგანოების მიერ სსრკ ორგანოებში წარგზავნილი ყველა შუამდგომლობისა, პროტესტისა და მამართვის ასლებს, ყველა საჭირო მასალის თანდართვით.

10. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია, ა/კსფსრ სახალხო კომისარიატები და სსრკ სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი ა/კსფსრ მთავრობასთან რეგულიარულად უგზავნიან წარმომადგენლობას ყველა იმ მასალას, რაც საჭიროა სსრკ ორგანობის მიერ განსახილველი საკითხების ყოველმხრივი გაშუქებისათვის.

11. მუდმივი წამომადგენლობის შესანახად საჭირო ხარჯები გატარებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხარჯთაღრიცხვით. მუდმივ წარმომადგენელსა და მის მოადგილეებს ეკუთვნით 1-ლი ხარისხის კრედიტების განმკარგულებელის უფლება.

12. ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უმაღლესი ორგანოებისა და უწყებების მიერ ამა თუ იმ მინდობილობის შესასრულებლად წარვლინებული პირნი მოქმედობენ სრულის კონტაქტით წარმომადგენლობასთან, რომელსაც აცნობებენ მთელი მუშაობის მსვლელობას და რომლისგანაც მიიღებენ საჭირო დირექტივებს.

13. მუდმივი წარმომადგენლობა იმყოფება მოსკოვში. მას აქვს ბეჭედი ა/კსფსრ ღერბის გამოსახულობით.

დადგენილება № 122 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

80. ა/კსფსრ-ის 1929-30 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა, განხილვისა და მსვლელობის წესის შესახებ.

რათა ა/კსფსრ-ის 1929-30 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი დანიშნულ ვადაზე იქნეს წარდგენილი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და სათანადო საერთო-საკავშირო ორგანოებში, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განსაზღვრულ იქნეს შემდეგი წესი ბიუჯეტის შედგენისა და განხილვისა:

1. 1929 წლის მაისის 10-ს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი წარუდგენს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებულს ა/კსფსრ-ის 1929-30 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების პროექტს.

2. რათა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა თავის დროზე შეასრულოს ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაკისრებული მოვალეობა, წინადადება მიეცეს:

1. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—იმავე დროს, როდესაც ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი დაიწყებს ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების შედგენას, აწარმოოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის 1929-30 წ. საკონ-

ტროლო ციფრების შემუშავება, იმ პირობით, რომ ამ საკონტროლო ციფრების ის ნაწილი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს შეეხება, შეთანხმებულ იქნეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არა უგვიანეს მიმდინარე წლის მაისის 5-სა.

2) ა/კსფსრ-ის გაერთიანებულ უწყებებსა და ცენტრალურ დაწესებულებებს—წარადგინონ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში, არა უგვიანეს მიმდინარე წლის აპრილის 30-სა, იმ ცვლილებების ნუსხები, რაც, 1928-29 საბიუჯეტო წელთან შედარებით, შეტანილ იქნება მათ საფინანსო საშემოსავლო და საგასავლო ხარჯთაღრიცხვებში.

3) ა/კსფსრ-ის ქვემოაღნიშნულ უწყებებსა და დაწესებულებებს—აცნობონ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, არა უგვიანეს მიმდინარე წლის მაისის 1-სა, მათი 1929-30 წლის წინასწარი საგეგმო განზრახულებანი კაპიტალური მშენებლობისა და ბიუჯეტით დაფინანსების მოთხოვნილებათა შესახებ:

ა) ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ—მრეწველობისა და ელექტროფიკაციის შესახებ;

ბ) ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა—ვაჭრობის შესახებ, სამაცივრო მშენებლობითურთ;

გ) ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატმა—საბინაო კოოპერაციისა, საბინაო მშენებლობისა და უმუშევრობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ;

დ) ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველომ—ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის შესახებ;

ე) ამიერკავკასიის საველტერინარო კომიტეტმა—საველტერინარო და საეპიზოოტიო ღონისძიებათა შესახებ;

ვ) ამერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირმა,—ა/კსფსრ სასოფლო-სამეუნეო კოოპერაციის შესახებ.

4) ქვემოდასახელებულ დაწესებულებათ—წარადგინონ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში მიმდინარე წლის 1-ვე მაისისათვის შემდეგი ცნობები:

ა) აზნავთის გამგეობამ—1929-30 წელს ნავთისა და გაზის ამოღების საწარმოო პროგრამმა;

ბ) სრულიად რუსეთის კოოპერატიული ბანკის საქართველოს განყოფილებამ—თავისი სახსარით და კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების საერთო და სპეციალური ფონდებიდან 1929-30 წელს სასოფლო-სამეურნეო, საშინამრეწველო-სარეწაო და საბინაო კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმა;

გ) გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკის ამიერკავკასიის კონტორამ თავისი სახსარით 1929-30 წელს მრეწველობისა და ელექტროფიკაციის გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმა;

დ) ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა- ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის დაკრედიტების გეგმა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ხაზით.

5) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებს—აცნობონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, არა უგვიანეს მიმდინარე წლის მაისის 1-სა, მათ მიერ 1929-30 წ. რესპუბლიკანური ბიუჯეტებისა-

თვის დამტკიცებული საკონტროლო ციფრები, რასაც აუცილებლად უნდა დაერთოს შემდეგი მასალები და ცნობები:

ა) რესპუბლიკების ბიუჯეტებით 1929-30 წლისთვის ნავარაუდევი სახელმწიფო შემოსავლის დასაბუთება;

ბ) 1929-30 წელს კომუნალური მშენებლობისა და მისი დაფინანსების გეგმა;

გ) სათანადო რესპუბლიკანური ცენტრების მიერ შედგენილი სასოფლო-სამეურნეო და საშინამრეწველო-სარეწაო კოოპერაციის დაფინანსების გეგმები;

დ) რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების მიერ შედგენილი საკურორტო მშენებლობის დაფინანსების გეგმები;

ე) რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ შემუშავებული როგორც რესპუბლიკანური, ისე ფედერატიული მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებათა დაფინანსების გეგმები და აგრეთვე სატყეო მეურნეობისა და სავეტერინარო ღონისძიებათა დაფინანსების გეგმები.

III. როდესაც სათანადო ორგანოები საბოლოოდ გამოარკვევენ ა/კსფსრ 1929-30 წ. სახელწიფო ბიუჯეტის საკონტროლო ციფრებს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი მიმდინარე წლის ივნისის 1-თვის აცნობებს ამ ციფრების სათანადო ნაწილებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს და ყველა დაინტერესებულ უწყებასა და დაწესებულებას—სახელმძღვანელოდ.

IV. ამა დადგენილების მე-III მუხლის თანახმად ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან მიღებულ ა/კსფსრ 1929-30 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების საფუძველზე შედგენილი პროექტები სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვებისა და აგრეთვე განცხადებანი სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების დაფინანსების შესახებ—ა/კსფსრ გაერთიანებულმა უწყებებმა და ცენტრალურმა დაწესებულებებმა და იმ დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომელინც მოვალენი არიან წარადგინონ სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების დაფინანსების ხარჯთაღრიცხვები,—უნდა წარადგინონ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში არა უგვიანეს ივლისის 5-სა.

V. ამა დადგენილების მე-III მუხლის თანახმად ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან მიღებული ა/კსფსრ 1929-30 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების საფუძველზე შედგენილი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა მიერ მიღებული ბიუჯეტები რესპუბლიკებისა წარედგინება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე წლის აგვისტოს 1-თვის.

VI. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებში სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტებისა და ფონდებიდან და ფონდის ხასიათის მქონე სხვა დანიშნულებიდან ასიგნვების გადადების შესახები განცხადებების წრდგენის ვადა, აგრეთვე ბიუჯეტებში გასატარებელი სახალხო მეურნეობის დაფინანსების დანიშნულებათა აღრიცხვის ვადები განისაზღვრება აღნიშნული რესპუბლიკების კანონმდებლობის წესით, იმ პირობითი-კი, რომ აუცილებლად უზრუნველყოფილ იქნეს წინა (V)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლითი რესპუბლიკების ბიუჯეტების წარდგენისათვის დადგენილი ვადა—მიმდინარე წლის აგვისტოს 1-ლი.

VII. ა/კსფსრ 1929-30 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა წარადგინოს ა/კსფსრ სასალხო კომისართა საბჭოში,—ხოლო ასლი დასკვნისათვის ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში—არა-უგვიანეს მიმდინარე წლის აგვისტოს 20-სა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადასტურებული ა/კსფსრ 1929-30 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი შეიტანება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიაში და გაიგზავნება სსრკ სახალხო კომისართა საბჭოში საბოლოოდ შესწორებული და სტამბაში დაბეჭდილი, ყოველგვარი საჭირო განმარტებითი წერილებითა და დანართებით, არა-უგვიანეს მიმდინარე წლის სექტემბრის 15-სა.

VIII. მიენდოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ა/კსფსრ 1929-30 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის აგების ძირითადი საფუძვლების პროექტი და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს მიმდინარე წლის მაისის 1-სა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. აპრილის 18. ტფილისის-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 89 №-ში 1929 წ. აპრილის 20-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

81. სოფლის მოსახლეობის შრომის საგზაო ბეგარის დებულების მოქმედების ქალაქებზე და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებზე გავრცელების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სოფლის მოსახლეობის შრომის საგზაო ბეგარის დებულების მოქმედება (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-რი, მუხ. 204) გავრცელებულ იქნეს ყველა ქალაქზე და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილზე, მე-2 მუხ. აღნიშნული გამონაკლისით:

2. შრომის საგზაო ბეგარის დებულება არა ვრცელდება შემდეგ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებზე:

აზერბაიჯანის სსრ-ში: ბაქოზე, განჯაზე, ნუხაზე, ზაქათალაზე, კუბაზე და ლენქორანზე;

საქართველოს სსრ-ში: ტფილისზე, ბორჯომზე, ქუთაისზე, ფოთზე, ჭიათურაზე, სოხუმზე, ახალციხეზე, სიღნაღზე, თელავზე, გუდაუთზე და ოჩემჩირზე;

სომხეთის სსრ-ში: ერივანზე და ლენინაკანზე

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. მარტის 4. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 94 №-ში 1929 წლის აპრილის 26-ს.

ბრძანება № 3 ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი.

1929 წლის აპრილის 22.

82. 1929-39 წლის საკონტროლო ციფრებისათვის საჭირო მუშაობის წესის შესახებ.

I. 1929-30 წ. საკონტროლო ციფრების შედგენა.

თანახმად ა/სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 13-ს დადგენილებისა და სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1929 წ. მარტის 14-ს თარიღისა და 521 №-ის ბრძანებისა „1929-30 წლის საკონტროლო ციფრების შედგენისათვის საჭირო მუშაობის წესის შესახებ" („ტორგოვო-პრომიშლ. გაზეტა"-ს № 61 ა/წ. მარტის 15-სა)—ვიძლევი შემდეგ ბრძანებას:

1. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭოები, ამა ბრძანების მიღებისთანავე, გასცემენ განკარგულებას ტრესტების მიმართ—ხუთწლედის საკონტროლო ციფრების საფუძველზე დაუყოვნებლივ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდგნენ კაპიტალურ სამუშაოთა შესახებ წინასწარი განცხადებების შემუშავებას და რეკონსტრუქციისა და რაციონალიზაციის შესახებ ცნობების შედგენას, აგრეთვე 1929-30 წელს წარმოების გაშლის შესაძლებლობის გამორკვევისა და თვითღირებულების შემცირების შესახებ.

2. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭოებმა, ტრესტებისაგან მიღებისთანავე, ხოლო არა უგვიანეს ა/წ. მაისის 1-სა, წარუდგინონ ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მოკლე განმარტებითი წერილებთან ერთად, ამა ბრძანების 1-ლ მუხლში აღნიშნული განცხადებები და ცნობები. ა/კ. მებამბეობის კომიტეტმა განცხადებები და ცნობები წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს იმავე ვადაზე.

3. რათა ზემოაღნიშნული საკითხების გამო მიღებულ იქნეს თანაბარი ცნობები,—ეს ცნობები შედგენილ უნდა იქნეს 1928-29 წლის სამრ.-საფინანსო გეგმის ფორმებთან შეფარდებით შემდეგ კარებად:

1) მთლიანი და სასაქონლო პროდუქცია (ფორმა № 1);

2) კაპიტალურ სამუშაოთა წარმართვა (ფორმა №17):

3) ახალი ქარხნების ნუსხა (ფორმა № 18);

4) გაფართოებისა და რეკონსტრუქციის მთავარი ობიექტების ნუსხა (ფორმა № 19);

5) ნაკეთობათა უაღრესი მნიშვნელობის სახეების კალკულაცია ძირითადი ელემენტების მიხედვით (ფორმა № 8).

4. 1929-30 წლის საკონტროლო ციფრების მიხედვით განზრახულებათა შედგენის შესახებ სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დირექტივების მიღებისათანავე (ვადად დადგენილია აპრილის 15), ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-ეკონომიური სამმართველო დაადგენს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკებისა და ა/კ. მებამბეობის კომიტეტისათვის საკონტროლო ციფრების დირექტივებსა და ლიმიტებს, რისთვისაც მხედველობაში იქონიებს ხუთწლედის საკონტროლო ციფრების წლიურ ჩამონაკვეთს და ამ ციფრების იმ ცვლილებებს, რაც გამოწვეული იქნება წარმოების გაშლითა და პირობებით და მიმდინარე 1929-29 წლის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობით; აგრეთვე ანგარიშში მიიღებს რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისაგან წარმოდგენილ, ამა ბრძანების 1-ლ მუხლში გათვალისწინებულ, განცხადებებსა და ცნობებს. საგეგმო-ეკონომიური სამმართველოს მიერ შემუშავებული დირექტივები და ლიმიტები, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების შემდეგ, დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებსა და ა/კ. მებამბეობის კომიტეტს არაუგვიანეს ა/წ. მაისის 10-სა.

5. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭოებმა გაანაწილონ მიღებული დირექტივები და ლიმიტები რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობის ტრესტებს შორის, და იმავე დროს მისცენ მათ განკარგულება—დაუყოვნებლივ დაამუშაონ საკონტროლო ციფრები 1929-30 წლისთვის, იმ პირობით, რომ ტრესტების 1929-30 წ. საკონტროლო ციფრები, განმარტებითი წერილებითურთ, წარდგენილ იქნეს ა/კსფსრ-ში შემავალი რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებში და, ამასთან ერთად, ასლები (2 ცალად) ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში არაუგვიანეს ა/წ. ივნისის 5-სა. ა/კ. მებამბეობის კომიტეტმა 1929-30 წ. საკონტროლო ციფრები წარადგინოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში იმავე ვადაზე.

6. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭოებმა მათ მიერ მიღებული 1929-30 წ. საკონტროლო ციფრები 2 ცალად წარადგინონ ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში არა უგვიანეს ა/წ. ივნისის 20-სა; ამასთანავე, რესპუბლიკანური მრეწველობისათვის — ცალ-ცალკე ტრესტებზე (სსრკ სმუს მიერ დადგენილი ფორმით), ხოლო ადგილობრივი მრეწველობისათვის — ჯუმლობით, დარგისა და რაიონის მიხედვით, იმ ფორმით, რასაც დამატებით დაადგენს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

7. საკონტროლო ციფრებს უნდა დაერთოს განმარტებითი წერილები ძირითად კართა მიხედვით, რითაც გაშუქებულ უნდა იქნეს ის მთავარი მომენტები, რაც საფუძველად დაედვა საკონტროლო ციფრების აგებას; განსაკუთრებით გაშუქებულ უნდა იქნეს ყოველმხრივ კაპიტალურ სამუშაოთა, ტეხნიკური რეკონსტრუქციისა და რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გეგმა მთელი მრეწველობისათვის და ცალკე საწარმოთათვის; თანაც გამოაშკარავებულ უნდა იქნეს განზრახული კაპიტალური ხარჯების ეფექტიობა როგორც თვითღირებულების შემცირებისა, ისე წარმოების გადიდებისა და ტეხნიკური გაუმჯობესების ხაზით.

8. გარდა საკონტროლო ციფრების წარდგენისა ქვემდებარე მრეწველობის გამო, ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები წარადგენენ ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, იმავე ვადაზე დამუშავებულ საკონტროლო ციფრების ძირითად მაჩვენებლებს შინამრეწველობისა და კოოპერატიული მრეწველობის თაობაზე და იმ მრეწველობის შესახებ, რაც სხვა სახალხო კომისარიატებს ექვემდებარება.

9. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-ეკონომიურმა სამმართველომ წარადგინოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, არაუგვიანეს ა/წ. ივლისის 5-სა, ჯუმლობითი მოხსენება ა/კსფსრ მრეწველობის 1929-30 წ. საკონტროლო ციფრების შესახებ და, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების შემდეგ, გაიგზავნოს იგი სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში არაუგვიანეს ა/წ. ივლისის 10-სა.

10. საკონტროლო ციფრების შემუშავების დროს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭოებმა და ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-ეკონომიურმა სამმართველომ უნდა მიიწვიონ ამ მუშაობაში უშუალო მონაწილეობისათვის პროფესიონალური ორგანიზაციები და აგრეთვე ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის ორგანოები.

II. 1929-30 წლის კაპიტალურ სამუშაოთა მინიმალური გეგმა.

1. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-ეკონომიური სამმართველო, სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან სადირექტივო ლიმიტების მიღებისათანავე, შეუდგება რესპუბლიკების მიერ წარდგენილი, ამა ბრძანეაის 1-ლ მუხ. გათვალისწინებული მასალის მხედველობაში მიღებით, ა/კსფსრ დაჯავშნული (ბრონიროვან.) მრეწველობის მინიმუმის დამუშავებას, იმ პირობით, რომ ეს მინიმუმი,—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ,— წარდგენილ იქნეს, განმარტებითი წერილითურთ, სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში არა უგვიანეს ა/წ. ივნისის 5-სა.

2. კაპიტალურ სამუშაოთა დაჯავშნულ მინიმუმში კაპიტალური სამუშაოები მოთავსებულ იქნეს სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ „მრეწველობისა და ელექტრო-მეურნეობის მშენებლობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ 1928 წ. ივნისის 1-ს თარიღით გამოცემულ დადგენილებასთან და სსრრ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ა/წ. მარტის 14-ს თარიღისა და 521 №-ის ბრძანებასთან სრული შეთანხმებით.

ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **გენკინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 91 №-ში 1929 წ. აპრილის 23-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 920. დაიბეჭდა 800.